ხელშეკრულება № 22
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 22 მარტი 2011 წელი

ერთის მხრივ სსიპ ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრი (შემდგომში შემსყიდველი) მისი დირექტორის მამია ჯანჯალიას სახით და მეორეს მხრივ შპს 404 დირექტორის ბორის სოსელიას სახით (შემდგომში – მიმწოდებელი) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სპეც სახსრებით კანალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვა. (**CPV**კოდი: 45232410) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად)

1.2 ხელშეკრულების ობიექტია კანალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაო, კერძოდ: სასწავლებლის საკანალიზაციო სისტემის შეკეთების სამუშაოები.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 110 (ასათი) ლარს

2.3 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული სამუშაოს ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 სამუშაოს შესრულების ვადაა 2011 წლის 25-30 მარტი.

4.2 სამუშაოს შესრულების ადგილად ითვლება: ქ. თბილისი გურამ ფანჯიკიძის ქუჩა **N1ა**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ სამუშაოს შესრულების და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 საბანკო დღისა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი.

-მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს სამუშაოს შესრულების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად

-მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. თუ სამუშაოს არაჯეროვნად შესრულების გამო არ გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიუწოდებლობად ჩაითვლება და მიმწოდებელს დაეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის ვალდებულების შეუსრულებლობის (მათ შორის სამუშაოს მიუწოდებლობის) ან/და მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის (მათ შორის მიწოდების ვადების დარღვევის) შემთხვევაში, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3. თუ 8.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს შემსყიდველი უფლებამოსილია წინასწარი შეტყობინების გარეშე, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მთლიანად ან ნაწილობრივ და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების იმ პროცენტის ოდენობით, რომელიც დაერიცხება მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე ან ვალდებულების შესრულების მიღებამდე.

8.4. შემსყიდველის მიერ გადახდის დაგვიანებისას მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს დარჩენილი გადაუხდელი თანხის 2%-ისა.

8.5. თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს ვალდებულებას ან დაარღვევს მისი შესრულების ვადებს და ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის გამო პირგასამტეხლოს დარიცხვა ვერ ხორციელდება ან დარიცხული პირგასამტეხლოს ჯამი იქნება 2%-ზე ნაკლები, მიმწოდებელს დაეკისრება მხოლოდ ფიქსირებული პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

8.7 დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების (გაფორმების) დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 30 აპილამდე

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამი თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოს შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოს შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოს ნაწილის და წუნდების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს დამხმარე თანამშრომელი იოსებ ჯოლოგუა

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშერებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.5 სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტი განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო–ტექნიკური პერსონალისა და მუშა–მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები;

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
---	---
სსიპ ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრი. თბილისი 0160 გურამ ფანჯიკიძის ქ N 1 ტელეფონი: 37-63-81 ან 37-60-05 ს.ს. "ლიბერთი ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი. ა/ა **N 34086217176** კოდი: **LBRTGE22**. საიდენტიფიკაციო კოდი: 211334322	შპს „404„ ქ. თბილისი ნინო რამიშვილის №33 სს „თიბისი ბანკი"-ს მარჯანიშვილის ფილიალი ბ.კ. 220101850 ა/ა №**GE13TB1157136020100006**
დირექტორი:	დირექტორი